ფსიქოლოგიური ადაპტაცია სამშობლოში დაბრუნეულ შრომით მიგრანტ ქალებთან

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

თამარ ცოტნიაშვილი

სამაგისტრო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025წ

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს. ის არ შეესაბამება სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გასაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

19 ივნისი, 2025 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია სამშობლოში დაბრუნებული შრომითი მიგრანტი ქალების გამოცდილების გაგება. გამოყენებულ იქნა თვისებრივი მეთოდოლოგია და თემატური ანალიზი. მონაცემები ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუირების გზით შეგროვდა, რომელშიც მონაწილეობა სამშობლოში დაბრუნებულმა, ხუთმა ემიგრანტმა ქალმა მიიღო. მათ მიერ ემიგრაციაში გატარებული დრო სულ მცირე 3 წელი იყო, ხოლო საქართველოში დაბრუნების ხანგრძლივობა თავსდებოდა 4 თვიდან 1 წლამდე შუალედში. რეპატრიანტების ასაკი მერყეობდა 31- დან 50 წლამდე. თითოეულ კვლევის მონაწილეს ჰქონდა დაბალკვალიფიციურ სამუშაო ადგილზე მუშაობის გამოცდილება, რაც ძირითადად გულისხმობდა ბავშვებისა და მოხუცების მოვლას, სხვადასხვა სივრცის დასუფთავებას.

მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა 6 ძირითადი თემა: (1) შრომითი მიგრაციის გამოცდილება; (2) დაბრუნების მიზეზები, განცდები და გამოწვევები; (3) რეინტეგრაციის გზა (4) სამშობლოში დაბრუნების უპირატესობები; (5) მასპინძელი ქვეყნის გავლენა კულტურულ და პიროვნულ იდენტობაზე; (6) მომავლის ხედვა. ნარატივები აჩვენებს, რომ რეინტეგრაციის გზა რთული და მრავალფეროვანი პროცესია და მასზე მრავალი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას.

ხელახალი ადაპტაციის გამოცდილებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს შრომით ბაზარზე არსებულ პირობებს, გარშემომყფებისა და ოჯახის წევრების მხარდაჭერას, კულტურული და პიროვნული იდენტობის ცვლილებებს. რეინტეგრაციის წარმატება - წარუმატებლობას სწორედ აღნიშნული ფაქტორები განსაზღვრავს.

Abstract

The aim of the present study is to understand the experiences of female labor migrants, who have returned to their home country. A qualitative methodology and thematic analysis were employed. Data were collected through semi-structured interviews with five women who had returnet to Georgia after migration. Each participant had spent at least 3 years abroad, and the duration since their return to Georgia ranged from 4 months to 1 year. The repatriate's ages ranged from 31-50. All participants had experience working in low-skilled jobs, which primarily involved childcare, elder care and various cleaning roles.

The analysis revealed 6 main themes: (1) experiences of labor migration; (2) reasons for return, emotions and challenges; (3) the process of reintegration; (4) the advantages of returning to the homeland; (5) the influence of the host country on cultural and personal identity; (6) vision for the future. The naratives demonstrate that the process of reintegration is complex and multifaceted, influenced bu numerous factors.

In the experience of readaptation, significant factors include conditions in the labor market, support from the surrounding community and family members, as well as changes in cultural and personal identity. The success of failure of reintegration is derermined precisely by these factors.

მადლობა

მსურს გამოვთქვა გულწრფელი მადლიერება ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ია შეყრილაძის მიმართ, რომელიც გამოირჩეოდა მხარდაჭერით, პროფესიონალური რჩევებითა და ყურადღებით. მისი შრომისა და გაწეული დახმარების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ნაშრომზე მუშაობა.

მადლობას ვუხდი რესპონდენტებს, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ჩემს კვლევაში მონაწილეობაზე და ღიად ისაუბრეს საკუთარი გამოცდილების შესახებ. მათი წვლილი არსებითად მნიშვნელოვანი იყო მოცემული ნაშრომის განხოციელებისთვის.

ვაცნობიერებ და ვაფასებ ოჯახის, კოლეგების, თანამშრომლების მორალურ მხარდაჭერას. მათ თანადგომას არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის.